ვენციაა. ოსმალეთის წარმომადგენელმა სთხოვა გადადებულ იქნეს კონფერენცია, რათა შეეკითხოს ანგორას მთავრობას.

**სამხედრო შეთანხმების გამო**

მოსკოვი. 14 ოქტ. საფრანგეთის პრესა მსჯელობს რა მუდანიაში დადებულ სამხედრო შეთანხმების უკანასკნელ ოქმის შესახებ, აღნიშნავს ოსმალების მოხერხებულ ტაქტიკას.

გაზეთები არ უარყოფენ საზავო კონფერენციაზე გართულებების შესაძლებლობას და აღნიშნავენ მოკავშირეთა გაერთიანებულ ფრონტის აუცილებლობას. მუდანიაში მოკავშირეთა და ანგორას შორის დადებულ სამხედრო შეთანხმების შესახებ იტყობინებიან შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს: მოკავშირე სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს გადასცენ ანგორას აღმოსავლეთ ფრაკია და ადრიანოპოლი, სამხედრო მოქმედებები ოსმალეთსა და ბერძნებს შორის სწყდება. ბერძნების ჯარები დაიხევენ მდ. მარიცის მარცხენა ნაპირამდე მარიცის მარჯვენა ნაპირს დაიჭერს მოკავშირეთა ჯარები. საბერძნეთის ჯარების მიერ აღმოსავლეთ ფრაკიის ევაკუაცია დაიწყება ახლო მომავალში, და შესრულებულ იქნება 2 დღის განმავლობაში საბერძნეთის სამოქალაქო ხელისუფლება ჟანდარმერია და სხვა უნდა გავიდეს ფრაკიიდან რაც შეიძლება მოკლე დროში.

აღმოსავლეთ ფრაკიიდან საბერძნეთის ხელისუფლების გასვლის შემდეგ სამოქალაქო მმართველობა გადაეცემა მოკავშირეებს, რომლებიც შეძლებისადაგვარად იმავე დღეს გადასცემენ უკანასკნელს ოსმალეთს. ფრაკიის ოსმალეთისათვის საბოლოოდ გადაცემა უნდა დამთავრდეს 30 დღის განმავლობაში ბერძნების ჯარის ევაკუაციის შემდეგ.

— სამხედრო შეთანხმების ხელისმოწერის შემდეგ, მოკავშირეთა გენერლები გაემგზავრნენ მუდანიიდან.

**რუსეთი და კონფერენცია სრუტეების შესახებ**

მოსკოვი. 14 ოქტ. გაზ. „მანჩესტერ გარდიენი" ისევ გამოვიდა ენერგიულად სრუტეების შესახებ კონფერენციაზე რუსეთის მოწვევის სასარგებლოდ. გაზეთი მიუთითებს, რომ რუსეთს არ შეუძლია დაეთანხმოს სრუტეების კონტროლის ერთადერთისათვის გადაცემაზე რუსეთის დატოვება ერთა ლიგის გარეშე შეუძლებელი ხდება და დიდად ხელს უშლის რუსეთსა და ევროპის შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენას გაზეთი მიუთითებს, რომ რუსეთის მოთხოვნილებები სრუტეების შესახებ ნაკარნახევია მისი კანონიერი ინტერესებით რუსეთის კონფერენციაზე დაშვება გამოიწვევდა საბჭოთა მთავრობის ცნობას.

**ოსმალოების წინსვლა**

ნაუენი. გაზ. „დეილი ტელეგრაფი" მდგომარეობას სერიოზულად სთვლის იზმიდთან ოსმალოების ახალ წინსვლის გამო, ვინაიდან წარმოდგენილია, რომ აქ ადგილი ქონდეს რაიმე შეცდომას.

**ფრაკიის ევაკუაციის გამო.**

ნაუენი. 14 ოქტ. მოკავშირე გენერლები იმედოვნებენ, რომ შე დებიან საბერძნეთის უმაღლეს სარდლობას როდოსტოში ფრაკიის ევაკუაციის ტექნიკური მხარის მოსაწესრიგებლად.

**ჩანაკთან**

ბორდო. 14 ოქტ. ამ ჟამად სწარმოებს ოსმალეთის ჯარების გაყვანა ჩანაკის მახლობლად.

# გერმანია და ანტანტა

**საკავშირთაშორისო ვალები**

რომი. 14 ოქტ. ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს 16 ოქტომბერს შეიტანოს ნიუ-იორკის ფედერალურ ბანკში 50 მილ. დოლარი ამერიკის ვალების ანგარიშში,

**ჰარდინგის განზრახვა.**

რომი. 14 ოქტ. იუწყებიან, რომ პრეზიდენტ ჰარდინგს განზრახვა აქვს მიმართოს ამერიკის პარლამენტს წერილით საკავშირთაშორისო ვალების კანონის შეცვლის შესახებ, ვაჭრობისათვის მეტი თავისუფლების შექმნის მიზნით.

**გერმანიის გადასახადები.**

ჰანოვერი. 14 ოქტ. 13 ოქტომბერს დაიწყო გერმანიის ფინანსთა სამინისტროს სხდომები, ანტანტის წარმომადგენლების საკითხების გამოსარკვევად.

**ბრეტბერგის წინადადების გამო.**

ჰანოვერი. 14 ოქტ. პარიზის პოლიტიკური წრეები იუწყებიან, რომ ბრეტბერგის წინადადება გერმანიისათვის ხუთი წლის მორატორიუმის მიცემის შესახებ დაკავშირებულია გერმანიის ფინანსებზე უცხოეთის კონტროლის დაწესებასთან და კომისიისათვის „ვეტოს" უფლების მიცემასთან იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთი ხარჯები კომისიის აზრით ზედმეტი აღმოჩნდება. საფრანგეთის პრესის უმეტესი ნაწილი ბრეტბერგის წინადადების წინააღმდეგია და მას მიუღებლად სთვლის საფრანგეთისათვის.

**გერმანიის ემისია.**

ჰანოვერი. 14 ოქტ. ოქტომბრის პირველ ნახევარში ქაღალდის ფულის ნიშნებზე მოთხოვნილება გაიზარდა. სახელმწიფო ბანკმა გამოუშვა 27,3 მილიარდი მარკა ბანკნოტებით და ხაზინის სერიებად.

**გერმანიის სამფლობელო ტერიტორიის საჯარო გაყიდვა.**

ჰანოვერი. 14 ოქტ. 12 ოქტ. აუქციონით გაიყიდა გერმანიის ყოფილი სამფლობელო კამერუნის ინგლისის ზონა ერთი კუნძული გაიყიდა 115 გ. სტერლინგად.

**დეპუტატთა პალატაში.**

ჰანოვერი. 14 ოქტ. ძლიერ დამახასიათებელია მემარცხენე დემოკრატის სიტყვა, წარმოთქმული საფრანგეთის პარლამენტის სხდომაზე ფავრმა განაცხადა, რომ გერმანიას თავისი ვალდებულებათა განადგება შეუძლია საერთაშორისო სესხის საშუალებით, რაც საფრანგეთმა უნდა მიიღოს მხედველობაში. ამას გარდა საფრანგეთის ხალხს სწყურია, პუანკარეს სასტიკი პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობიანობა, ფავრმა დასასრულ საფრანგეთის და გერმანიის დაახლოვების სურვილი გამოსთქვა, რაც მისი აზრით, მისცემს ევროპას საშუალებას შეიქნას თავისი საერთო ინტერესში. ფავრის სიტყვამ სასტიკი პასუხები გამოიწვია.

**მარკის კურსის დაცემა.**

რომი. 14 ოქტ. სპეკულიაციის წინააღმდეგ გამოცემულ დეკრეტს მიზნად აქვს შეაჩეროს მარკის კურსის დაცემა. შესაძლებელია ხაზინის ბონების გამოშვება.

# რუსეთი

**მესაქონლეობის გაშენება.**

მოსკოვი. 13 ოქტ. ორლოვის გუბერნიაში ს. ორლოვში ეწყობა მესაქონლეობის გამოფენა.

**სასურსათო გადასახადი.**

მოსკოვი. 13 ოქტ. მთელ ურალზე აკრეფილია სასურსათო გადასახადის 80 პროც. ეკატერინის გუბერნიაში კი —სასურს. გადასახადის 100 პროც.

ბაშკირეთის სასურსათო გადასახადის კამპანია დამთავრებულია ხუთი დღის წინ ვადამდე.

გომელში აკრეფილია სასურს. გად. 90 პრო ც. 20 ოქტომბრისათვის აკრეფის კამპანია დასრულებული იქნება.

**ბრძოლა ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან.**

მოსკოვი. 13 ოქტ. ბურჟუაზიულ ლიტერატურის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ტულაში შესდგა საგამომცემლო საზოგადოება. საზოგადოების წევრებად ირიცხებიან პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები.

**რუსეთის ყოფილი ჯარის კაცების დაბრუნება.**

მოსკოვი. 14 ოქ. რუსეთის ყოფილი ჯარის კაცების საფრანგეთიდან დაბრუნება სამშობლოში გადაწყვეტილია დადებითად.

**წითელი ჯვარი.**

მოსკოვი. 14 ოქტ. საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც წინააღმდეგი იყო საფრანგეთის დაშვების წითელი ჯვრის რუსეთის კომისიაში, აცნობა ახლა ჩიჩერინს, რომ იგი თანახმაა დაუშვას მარსელში რუსეთის წითელი ჯვრის დელეგაცია.

**სრულიად ყირგიზეთის საბჭოთა ყრილობა.**

მოსკოვი. 14 ოქტ. ორენბურგში გაიხსნა სრულიად ყირგიზეთის საბჭოთა ყრილობა.

**მოსკოვში.**

მოსკოვი. 14 ოქტ. მოსკოვში შარშან ზამთარში შეჩერებულ წარმოებათა უმეტესი ნაწილი ამუშავებულია... გასულ წლის ივლისში მუშაობდა 316 წარმოება, რომელშიაც ირიცხებოდა 55.000 მუშა, მიმდინარე წლის ივლისში მუშაობდა 380 წარმოება 160.000 მუშები იყო. სათბობი მასალით მრეწველობა უზრუნველყოფილია. მიღებულ ზომების თანახმად, პურის კრიზისს ადგილი არ ექნება. ციმბირში დამზადებულია ხორ-ცი. ვინაიდან ციმბირის რკინის გზის მდგომარეობა სიმშიშროებას ბადებს, ხორცი შესყიდულია საზღვარ-გარეთ. პირველი პარტია ასი ათასი ფუთის რაოდენობით უკვე მიღებულია მოსკოვში. მოსკოვის მუშებს ახლო მომავალში მიეცემათ თევზეულობა, ცხიმი და ხორცი.- მოსკოვის საბჭოს წინადადება მისცა მოსკოვის სავაჭრო განყოფილებას ყოველდღიურად დატვირთოს 1000 ფუთი შეშა. კაპიტალურად შეკეთებულია ზოგიერთი ელექტრო სადგურები. მოეწყო ძლიერი სანიტარული ორგანიზაცია ეპიდემიების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მწვავედ სდგას საბინაო საკითხი, თუმცა გასულ ზამთართან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია. წყლის მიწოდების საქმე გაუმჯობესებულია.

მიღებულია ზომები უმუშევართა უზრუნველსაყოფად. კავშირების წინაშე სდგას ამოცანა მოაწყოს უმუშევართა საზოგადო სამუშევრები და საუკეთესო მეთოდი უმუშევრობის შემცირებისათვის დაზღვევა და კავშირის დახმარება ნაკლებათ უზრუნველყოფს უმუშევართ, ვიდრე საზოგადოებრივი მუშაობები.

**უკრაინა**

**სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია**

მოსკოვი. 13 ოქტ. უცხო სახელმწიფოების და სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით გახსნილ უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიაზე, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ფრუნზემ ახლო-აღმოსავლეთის შესახებ მოხსენებაში განაცხადა, რომ უკრაინას სურს, რომ მისი მდგომარეობა ოსმალეთთან განმტკიცდეს და განვითარდეს. ოსმალეთის მისიამ, რომელიც ჩამოვიდა უკრაინაში, დაამტკიცა, რომ უკრაინის ურთიერთობა ოსმალეთთან მეგობრული რჩება.

სესიამ მიიღო რეზოლიუცია მიესალმოს ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობას ბრწყინვალე ბრძოლის გამო დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რეზოლიუცია აღნიშნავს ოსმალეთის მოთხოვნილებებს განზრახულ კონფერენციაზე რუსეთის, უკრაინის და საქართველოს მონაწილეობის შესახებ. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ის ზავი, რომელსაც თავზე ახვევენ დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ერებს, არის ულელი, რომლის ჩამოგდებაც შესაძლოა, მხოლოდ მსოფლიო სოციალურ რევოლიუციით.

ერთხმად დაადგინეს მიესალმონ ამხ. ლენინს.

**სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზეზე**

მოსკოვი. 13 ოქტ. სათბობ მასალათა მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, სამხრეთ-დასავლეთის გზაზე აღდგენილია ჩქარი მატარებლების მიმოსვლა. ოდესა—კიევსა და ოდესა—მოსკოვს შორის.

# სხვა და სხვა ამბები

**შორეულ აღმოსავლეთში**

**თეთრების დამარცხება**

მოსკოვი 14 ოქტ. თეთრებმა საშინელი დამარცხება განიცადეს. თეთრების ზურგში არეულობაა. მობილიზაცია ჩაიშალა. სახალხო რევოლიუციონერი არმიის წინსვლა გრძელდება. მცხოვრებნი აღფრთოვანებით ეგებება არმიას.

**ლ ა ტ ვ ი ა**

**ლატვიის სეიმის არჩევნები**

მოსკოვი 14 ოქტ. ლატვიის სეიმის არჩევნებისათვის წარმოდგენილი იყო 22 საარჩევნო სია. მუშათა ჯგუფი მოკლებულია საშუალებას აწარმოოს საარჩევნო აგიტაციას მუშათა გაზეთი „ჩვენი შრომა" პირველ ნომერზევე დახურეს.

**პოლონეთი**

**ზემო-სილეზიის სეიმში**

მოსკოვი 14 ოქტ. გაზ. „კურიერ პორანიი" იტყობინება, რომ ზემო-სილეზიის სეიმის გახსნის დროს განწყობილება დაძაბული იყო. პირველი სხდომა უენტუზიაზმოთ ჩატარდა, მინისტრების მიღებაში მცხოვრებნი არ ღებულობდნენ მონაწილეობას,

**გაფიცვა კრაკოვში**

მოსკოვი 14 ოქტ. კრაკოვში ასოთამწყობთა გაფიცვამ იფეთქა. გაზეთები აღარ გამოდიან.

**გაფიცვა პოლონეთში**

მოსკოვი 14 ოქტ. პოლონეთში გაფიცვების ტალღა არ სცხრება ვორესლავში 4 დღეა გაფიცული არიან თერძები, ლვოვში გაიფიცნენ მკინძავები ბელოსტოკში—ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები, ვოცლავსკში—ცელულოზის ფაბრიკის მუშები, მთელ რიგ მაზრებში გაფიცულნი არიან სასოფლო-სამეურნეო მუშები.

**ინგლისი.**

**ინგლისის მემადნეები.**

მოსკოვი. 14 ოქტ. ლონდონის პრესის აზრით, ინგლისის ნახშირის მრეწველობას მემადნეების საერთო გაფიცვა ემუქრება მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების გამო.

**ლიტვაში.**

**გაფიცვები კოვნოში.**

მოსკოვი. ოქტ. 14 გაზრდილმა სიძვირემ გამოიწვია მთელი რიგი გაფიცვებისა, ქალაქში პური არ იშოვება გლეხთა დემოკრატები ცდილობენ ჩააყენონ უკმაყოფილება დარბევის კალაპოტში, გაიმართა მიტინგი, რომელზედაც მოუწოდებდენ დარბევისაკენ.

**შ ვ ე ც ი ა.**

**რუსეთის კომერციული ბანკი შვეციაში.**

ჰანოვერი. ოქტ. 13 ნოემბრის შუა რიცხვებში სტოკჰოლმში გაიხსნება რუსეთის კომერციული ბანკი, ამ ბანკის განყოფილება ახლო მომავალში გაიხსნება ბერლინში,

**გერმანია.**

**ვაგნერი.**

ჰანოვერი. ოქტ. 13 ზიგფრიდ ვაგნერმა დაამთავრა თავის მოგონებების გამოცემა, რომელშიაც მოყვანილია ცნობები რიჩარდ ვაგნერის ცხოვრების შესახებ.

**რუსეთი.**

**სავაჭრო ურთიერთობა რუსეთ-საფრანგეთის შორის.**

ჰანოვერი. ოქტ. 13 პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ლიონის და პეტროგრადის სავაჭრო პალატის შორის გაიმართა მოლაპარაკება სავაჭრო ურთიერთობის განახლების შესახებ, რუსეთსა და საფრანგეთის შორის, გაზ. „პტი პარიზიენის სიტყვით, საფრანგეთის პალატას განზრახული აქვს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი რუსეთში — მოსკოვში.

# ახალი ამბები

— **აგარაკი სპარსეთის გენერალ კონსულისათვის,** რომლის გადაცემის შესახებ მას თხოვნა ქონდა მიცემული განათლების განყოფილებაზე,—უარყოფილია აღმასკომის მიერ, ვინაიდან აღნიშნული აგარაკი მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თვით ქალაქისათვის.

— **ნაძალადევის (ნახალოვკა) სახელის შეცვლა.** თანახმად კომპარტიის ცეკას დადგენილებისა, გადაწყვეტილია „ნახალოვკას" ეწოდოს მუშათა უბანი და აღნიშნული სახელწოდება გამოქვეყნდეს საყოველთაოდ.

— **ხიდის სამშენებლო კოოპერატივს.** სამშენებლო განყოფილებას წინადადება მიეცა დაუყონებლივ გამოსძებნოს სათანადო თანხა ხიდის შესაკეთებლად სატყეო კომიტეტი ხელმისაწვდომ ფასებში იძლევა ხის მასალას.

— **ელექტრონულ სადგურების სამმართველოს გამგეთ** დაინიშნა დროებით ამხ. თაქთაქიშვილი. ინჟინერი ჩირგაძე გადაყვანილ იქმნა ელექტრონულ ქსელის გამგეთ.

შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილების გამგის მოვალეობა დაევალა ამხ. ჩხეიძეს.

— **სოც. აღზრდის მმართველობაში.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობას განზრახული აქვს მომავალში გახსნას სასკოლო ასაკამდე აღზრდის სამოსწავლო სახლი. უკვე გამომუშავებულია და დამტკიცებულია წესდება; გახსნა შეჩერებულია დროებით სათანადო ბინის გამონახვამდე.

— **ახალი სახელმძღვანელო წიგნები შრომის სკოლებში სომხურ ენაზე.** სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობამ გასცა განკარგულება ყველგან, განყოფილებისადმი, რომ სოც. შრომის სკოლებში შემოღებულ იქნეს შემდეგი წიგნები: 1) „ეროვნ [illegible]" წიგნი საკითხავი [illegible] ლიტერატურის [illegible] შრომის სკოლის [illegible] ჯგუფისათვის და ტექნიკუმის პირველი და მეორე კლასისათვის. 2) „აზბა ტანკო დარც" შრომის სკოლებისათვის საკითხავი წიგნი და სახელმძღვანელო შრომის სკოლის მეორე ჯგუფის მოწაფეებისათვის; 3) მურსიკიანც (მცენარეთა ცხოვრება) სახელმძღვანელო ბოტანიკაში მეხუთე და მეექვსე ჯგუფისათვის 4) ბნაგი ტაგან კარაპნეპერ. [illegible] მუნების მეტყველებს შრომის სკოლის მეხუთე და მეექვსე ჯგუფისათვის.

— **შეღავათიანი სამგზავრო ტარიფი მოწაფეთათვის.** სოც. აღზრდის მთავარმა მმართველობამ დაუკავშირა ყველა განათლების განყ. და ბავშვების სახლთა გამგეებს ფედერატიული საბჭოს დადგენილება მოწაფეთა შეღავათიან სამგზავრო ტარიფის შესახებ, რომლითაც მასწავლებლები არ სარგებლობენ საშუალო სასწავლებლის მოწაფეებს აქვთ შეღავათი 25% სამგზავრო ბილეთის ღირებულებისა უმაღლეს სასწავლებლის მოწაფეებს (სტუდენტებს) მთელ კავკასიის რესპუბლიკების ფარგლებში და რუსეთში წამავალნი ეძლევათ შეღავათი 50 პროც. მოწაფეები სარგებლობენ ასეთ შეღავათით შობას, აღდგომას და საზაფხულო დასვენების დროს. აგრეთვე მოვლინებისას ერთი სასწავლებლიდან მეორეში.

— **ხოლერა აღარ არის.** მიმდინარე თვეში როგორც ტფილისში ისე მთელს რესპუბლიკაშიაც არც ერთი ხოლერიანი სენით შეპყრობილი ავადმყოფი არ გატარებულა რეგისტრაციაში.

— **ცეცხლი.** გასულ სექტემბრის თვის განმავლობაში ქალაქში იყო სულ 15 შემთხვევა ცეცხლის გაჩენისა.

**შეცდომების გასწორება.**

ჩვენი გაზეთის 12 ოქტომბრის №-ში „ახალ ამბებში" სწერია: „ტფილისის აღმასკომის შრომის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ჯაიანი". უნდა იყოს „შრომის სახ. კომ. შრომის ბირჟის კომიტეტის წევრად ქალაქ ტფილისის აღმასკომიდან დაინიშნა ამხ. ჯაიანი".

# სამხატვრო ქრონიკა

**სახელმწიფო ოპერის თეატრში.** დღეს იხსნება სეზონი „აბესალომ და ეთერით."

სამშაბათს, ოქტომბრის 17-ს მიდის ცნობილი ოპერა „კარმენი".

ოთხშაბათს, ოქტომბრის 18-ს „სევილიელი დალაქი".

**რუსთაველის თეატრში,** მიმდინარე სეზონისათვის მზადდება შ. დადიანის ახალი პიესა „ვარამი", რომლისთვისაც კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი სპეციალურ მუსიკას წერს.

**ბათომის თეატრი.** მიმდინარე სეზონისათვის ჯერჯერობით მოლაპარაკებას აწარმოებს ვ. ურუშაძე რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილთან, ვ. გუნიასთან, ან. ქიქოძესთან და ი. ზარდალიშვილთან. ურუშაძეს ყველასაგან პრინციპიალური თანხმობა აქვს.

**რუსეთის თეატრი**

**შალიაპინი ამერიკაში.** მომღერალი შალიაპინი ამ ჟამად იმყოფება ამერიკაში. იგი ამ ცოტა ხნის წინად ავად იყო მაქრის ავადმყოფობით. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ეხლა, კარგადა გრძნობს თავს და ახლო მომავალში ქ. ნიუ-იორკში შესდგება მისი პირველი გასტროლი რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში „პსკოვიტიანკაში".

**რუსული თეატრის იუბილეი.** წელს ოქტომბრის დამლევს რუსული თეატრის დაარსებიდან სრულდება 250 წელიწადი. წარსულ წლიდანვე ამ დღის აღსანიშნავად მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს რუსულ თეატრის იუბილეს დღესასწაულის პროგრამას, ამ დღეს რუსეთის ყველა ქალაქებში მოეწყობა გრანდიოზული სადამო-წარმოდგენები. ზოგიერთ ადგილას დაიდგმება ძეგლები რუსის გამოჩენილ არტისტებისა: შჩეპკინის, მოჩალოვის და სხვათა.

**მოსკოვის სამხატვრო თეატრი გერმანიაში.** ამ ჟამად მოსკოვის სამხატვრო თეატრი მთელი თავისი ანსამბლით საგასტროლოდ არის გერმანიაში, სამხატვრო თეატრი წარმოადგენს მარათავს ბერლინში, ლესინგ თეატრში. თეატრს თან აქვს თავისი მუდმივი

სამშაბათს 17 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. მემარც. სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1.) მოხდება

## „არჩილ ჯორჯაძის სახელობის პოლიტიკური წრის“

# საზეიმო გახსნა

პროგრამა: 1. მისასალმებელი სიტყვები; 2. არჩილი, როგორც მოაზროვნე (სიტყვა); 3 საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო (მოხსენება).

დასწრება შეუძლია ახალგაზრდათა კავშირის წევრებს და თანამგრძნობთ.

საქ. მემარც. სოც.-ფედ. ახალგაზრდათა კავშირის გამგეობა.

დეკორაციები და კოსტიუმები, რეპერტუარი შესდგება, „[illegible]ძეს“, „ალუშტის ბედი“, „სამნი დანი“, „ნაძირალები“. პირველ წარმოდგენისთვის დაიდგეს „მეფე თეოდორე იოანესძე“, დამსწრე ხალხმა მოსკოველი სტუმრები დიდი ოვაციებით მიიღეს. მთავარ როლს თამაშობდა მასკვინი. წარმოდგენის გათავების შემდეგ გამართეს სტანისლავსკი და ახალგაზრდობამ დიდი ოვაციები გაუმართეს. სამხატვრო თეატრი ბერლინიდან გაემგზავრება მიუნხენში რამდენიმე წარმოდგენის გასამართავად და იქიდან დაბრუნდება ისევ რუსეთში.

## პარტიაში

დღეს 12 საათზე „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

## ბიბლიოგრაფია

**საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი ქურა № 2.**

ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოში პროლეტარული პოეზია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არ ყოფილა და არც არის.

ეს არც გასაკვირველია. ვინც უკვირდება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, იცის ჩვენი ქვეყნის წარსული და განიცდის პოეზიის გულის ცემას—იგი დაგვეთანხმება, რომ ჩვენში შეუძლებელი იყო შობილიყო პროლეტარული პოეზია ისეთი გაგებით, როგორც ეს „პროლეტარულ ასოციაციის“ მწერლების იდეოლოგებს ესმით. არა თუ წმინდა წყლის პროლეტარული პოეზია, არამედ ჩვენში ჯერ არც ერთი მიმდინარეობის სახე არ არის ისე ნათლად გამოკვეთილი, რომ მას ერთი სახელი ვუწოდოთ. ამის მიზეზებზე ბევრი ითქმულა. ცხადი ია: ქვეყანა, სადაც არ არის ჩამოყალიბებული პროლეტარიატი ინდუსტრიალური, სადაც ცხოვრების სარკე ამღვრეულია მრავალ ერთი მეორეს შემცვლელ, თოწინააღმდეგე სახეებით ვერ შობდა პროლეტარიატის მწერლებს. არა თუ ჩვენში—რუსეთშიაც კი მდგომარეობა ასეთივეა. იქაც პროლეტარიატმა ჯერჯერობით ვერ შვა დიდი, ძლიერი ნიჭის მწერლები და აჟღერებული ლექსები თუ პროზა ნათლად იმის მდაღადებელი, რომ ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როდესაც პროლეტარიატის მწერლის ხმა დაიპყრობს იმეთი სიძლიერით თუ გნებავთ, როგორც დაიპყრო ქალაქების და ფილადელფის პოეტმა უოლტ უიტმანმა და ქუჩის პოეტმა უოლტ-უიტმანმა. მართალი არის ლუნაჩარსკი და ბოგდანოვი, როცა აღნიშნავენ რუსეთის დღევანდელ პოეზიის უსწორობას.

საქართველოში თითქმის ერთი წელია, რაც „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“ არსებობს. ამ ასოციაციამ გამოსცა 2 ნომერი თავის ჟურნალისა „ქურას“ სახელწოდებით. ყოველი ჟურნალი, როცა იგი განსაკუთრებული დეკლარაციით გამოდის სარკეა—ჯგუფის უსწორობის თუ სიძლიერის.

ჩვენ უნდა ვსთქვათ სამწუხაროდ, რომ ჟურნალი „ქურა“ სიღარიბის საბუთია ჩვენი პროლეტარული მწერლობისა. უპირველეს ყოვლისა ჯგუფი რამ მიმართულებისაც არ უნდა იყვეს თუ მას არ ამაგრებს ნიჭიერი მწერლები—ვერასოდეს გაიმარჯვებს და დაიმსახურებს ყურადღებას, ვერ დაიჩნევს კვალს ცხოვრებას.

არ არის საკმაო მარტო იდეოლოგიის ამოფარება. მწერლობა იდეოლოგიის შეცნობა არ არის, იგი როგორც დამოუკიდებელი შემოქმედება მოითხოვს გამართლებული იქნეს მწერლის ინტუიციით, ნიჭით. ამ საზომით თუ მივუდგებით „ქურას“ დავინახავთ, რომ აქ თავმოყრილია მცირე გამონაკლისით, ახლად ფეხ-ადგმული, სრულიად ჩამოუყალიბებელი ახალგაზრდობა.

მეორე ნომერი იხსნება დეკლარაციით. დეკლარაციაში ლაპარაკია პროლეტარული პოეზიის ამოცანებზე და აწინდელ პერსპექტივებზე. ამ მხრივ იგი სრულიად ნათელი წარმოდგენით არის ნათქვამი, მაგრამ დეკლარაციის ავტორს ავიწყდება მთავარი—ე. ი. ის, რომ მომავლის იმედიანობა უნდა ეყრდნობოდეს არსებულის სიძლიერეზე.

თუ არსებულ პროლეტარულ პოეზიის—„ქურას“ სახით წარმოვიდგენთ მომავალში გამარჯვების სიმბოლოთ—აქ ცოტა არ იყოს იბადება უხერხულობა. უნდა დაისვას საკითხი: რა შექმნა ჯერ-ჯერობით საქართველოს პროლეტარულმა პოეტებმა, რომ იმედი ვიქონიოთ მათ გამარჯვებაზე—რომ იგი სრული იყვეს თუ გნებავთ პროლეტარული თვალსაზრისით?

ჩვენ რასაკვირველია წინასწარმეტყველობაში ვერ შევედავებით დეკლარაციის ავტორს, ღმერთმა ჰქნას ეს ასე მოხდეს. ჩვენ არ გვეწყინება, რადგან მშობლიური ლიტერატურა რომელი გზითაც გაიხარებს—ჩვენთვის სასიხარულოა, ნოლოს ჭეშმარიტი მწერლობა რა „იზმისაც“ არ უნდა იყვეს იგი—მისდევ[illegible] ჩვენთვის და ვალიარებთ ყოველ დღე ნაბიჯს და მიღწევებს—მაგრამ ეს მომავლის საქმეა, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არსებულზე. არსებული გახლავთ ჟურნალი „ქურა“, მასში მოთავსებული ლექსებით, მოთხრობებით და წერილებით. დეკლარაციაში სწერია: „საქართველოში ჩვენამდინაც არსებობდა სუსტი სულის ოქმით პროლეტარულ—რევოლიუციონური ლიტერატურა“ — ეს მართალია, რომ საქართველოში არსებობდა რევოლიუციონური ლიტერატურა—და იგი იარსებებს სანამ საჭირო იქნება—მაგრამ სამწუხაროდ „ქურას“ ჯერ-ჯერობით აქ დიდი ხმა არ ეძლევა. საქმე იმაშია, რომ როცა მწერლობაზე, ლაპარაკი, უნდა იყვეს წამოყენებული რაიმე „ხელის დასადები“ საბუთი, შექმნილი ახლად მოვლენილ „ჯგუფისა“. რა შექმნა „ქურამ“? რითი, განავითარა თუ გნებავთ იგივე დაწყებული ლიტერატურული გზა, რომელზედაც დეკლარაციაში ლაპარაკია, პასუხი არის; ჯერ-ჯერობით სრულიად არაფრით. საქმე ის ხომ არ არის, რომ თავი მოუყარო ლექსების გროვას, დეკლარაციები წარუმძღვარო და დაარქვა პროლეტარული პოეზია. თუ ვლაპარაკობთ პროლეტარულ რევოლიუციონურ პოეზიაზე წარსულში, აქ სახეში გვყავს პოეტები: ეგლოშვილი, დ. სხვები. ხოლო „ქურაში“ არა თუ ამ გზის განმავითარებელი ძლიერი პოეტის ხმა არ ისმის, არამედ უბრალო ლექსის ტექნიკის ცოდნაც არ ეტყობა მის უმრავლესობას. აქ გვეპასუხებიან: ჩვენ აკი ვამბობთ ახლა იბადება ფეხს პროლეტარული პოეზია, ეს არ იქნება მართალი. საჭიროა წარსულის ცოდნა, თუ მას ისწავლით ნახავთ, რომ ასეთი ლექსებით აღქმული (და უფრო ძლიერებით) ყველა სოციალისტური პრესა—დამწყები პოეტებით, მათი სახელი უთვალავია, რომლების უმრავლესობა გაქრება ვინ იცის სად. „ქურის“ მწერლები ახლა, რამოდენიმე წლების შემდეგ იმეორებს იმავეს—რაც უკვე ითქმულა.

განა პეტროზას (Petrosa) და მისთანა ლექსებით შეიძლება ქურამ შექმნას ჩვენში პროლეტარული პოეზია?

სანდრო ეულის გრძელი უფრო ლექსი „მეფე მემანქანე“ კარგი იქნებოდა, რომ პოეტური ინტუიციით იყვეს მდიდარი. ცდა არის უფრო მის ორიგინალობის (თუმცა ალექსანდროვსკისგან ნასესხები), მაგრამ ლექსი ისეთ პროზის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ხალისი იკარგება ბოლომდი წაკითხვას.

ნოე ზომლეთელი ძველი პოეტია, იგი ეკუთვნის სწორედ ძველ რევოლიუციონურ პოეტების კადრს, მაგრამ მეტად პრიმიტიულია დღეს, თუ ცხელს აქვს ალღო თანამედროვეობისა, ზომლეთელი ამასაც მოკლებულია. მის ლექსებში უფრო ისხნა პოეტური ნიჭი, მაგრამ ზომლეთელი პროლეტარული პოეტი არ არის.

ი. ვაქელი ამ ჯგუფში ახალგაზრდა პოეტია—მისი ისტორია კი სრულიად მოკლებულია სუსტად—ეტყობა წინსვლა—მხოლოთ არ შეიძლება ასე გზის ამბავი, იგი ხან ამაზეს იმეორებს ხან გ. ტაბიძეს. „შუა დღე ქარხანაში“ დაწერილია გ. ტაბიძის „ატმის ყვავილების“ ფორმის გავლენით, პოეტებში სხვებზე ლაპარაკი არ შეიძლება. კარგია ალექსანდროვსკის ლექსის თარგმანი. საერთოდ ალექსანდროვსკი რუსეთის ახალ „პროლეტარულ პოეტებში“ ყველაზე კარგი და ორიგინალურია.

პროზაც უიმედოა, თოლეკავაძის ნაწერი ჩვენ ვერ გავიგეთ, ეს სადაზმთო წერილია თუ მხატვრული რამ. ცვანია უფრო პირველი. ს. თოდრიას აქვს იუმორისტული ნიჭი, მაგრამ ამ ნომერში დაბეჭდილი: „ქვეყანაში“ სუსტია.

„ქურას“ სარედაქციო კოლეგიამ უნდა მეტი კრიტიკის თვალით შეხედოს თავის თანამშრომელთ, რათა არ განმეორდეს ჟურნალის ასეთ სუსტი მასალებით ავსება.

ტ. შ.

## მოწერილი ამბები

(დასასრული)

### ასკანა.

(ოზურგეთის მაზრა).

ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სამკითხველოს საქმე. სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ამ ფრიად სიმპატიური დაწესებულების საქმე ჩქარი ნაბიჯით უკან უკან მიდის. ასკანის წიგნთ საცავ-სამკითხველო ცნობილია მთელ გურიაში, ის დაარსებულია ამ ოცდა ათი წლის წინათ (1892 წ.) მუდამ შემოწირულებით საზრდოებდა და თუ როგორი ტემპით ვითარდებოდა, ამას მოწმობენ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. 1898 წ. ასკანის სამკითხველოს მისდიოდა პერიოდული გამოცემები „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ჯეჯილი“ „მოამბე“, „კრებული აკაკის“, „მეურნე“ „მწყემსი“, რუსულიდან: ,,Кавказ“ „Новое обозрение“ და მრავალი სხვა.

1898 წელშივე აგარაკ ბახმაროზე გაიხსნა განყოფილება ასკანის სამკითხველოსი. ასკანის წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა აწვდიდა ბახმაროს განყოფილებას ყველა ქართულ და ნაწილს რუსულ გამოცემებისას. 1902 წ. წიგნთ საცავში ითვლებოდა ქართული და რუსული წიგნები ორი ათასამდე აღსანიშნავია წიგნები: ,,ქართლის ცხოვრება“, ,,დაბადება“, ,,საქართველოს სამოთხე“, ,,ლექსიკონი“, ჩუბინ. ძვირფას ყდებში ქალაქ პეტროგრადიდან მოტანილი არის მაშინდელ გამგის სოლ. ქეიშვილის მიერ აგრეთვე ფრანგული და გერმანული წიგნები, იხახებოდა აკინძული პერიოდული გამოცემები ,,ივერია“, ,,მოამბე“, ,,ცნობის ფურცელი“ და სხვები.

ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს სამკითხველოს შენობა აფთიაქად გადააკეთეს და წიგნები ყოფილ სამმართველოს შენობაში გადმოიტანეს, რომელიც დაუხურავი იყო, წყალი ჩამოდიოდა და ბევრი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გაფუჭდა. კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქმე ოდნავათაც არ გაუმჯობესებულა. სამკითხველოს ჩაბარებისთანავე მოინდომეს დაგროვილი გაზეთების წონით გაყიდვა და შეუდგნენ საქმის სისრულეში მოყვანას. მემარცხენე სოც. ფედ. პარტიის ასკანის ორგანიზაციამ ოფიციალური განცხადება შეიტანა რევკომში და თხოულობდა შეეჩერებიათ გაზეთების გაყიდვა. მოწე რიგების დაწყობას და აკინძვას კისრულობდა მემ. სოც. ფედ. პარტია. მართლაც გაყიდვა შეაჩერეს და ხუთმა ჩვენმა ამხანაგმა ერთი კვირის განმავლობაში შესძლეს დაეწყოთ და აეკინძათ ,,სახალხო საქმე“ 1915-დან 1921 წლამდე, ,,ერთობა“, ,,ბრძოლა“, ,,საქართველო და ბევრი სხვები...

მას შემდეგ რაც კვირაობის საშვალებით სამმართველოს შენობას ადგილი გარდაუნაცვლეს, სამკითხველოს მთელი ქონება კერძო კაცის ბინაზეა. 1918 წელში შედგენილი კატალოგი დაკარგულია, ბევრი წიგნები გაბნეულია. განზრახული ყოფილა სამკითხველოს მოთავსება ალმასკომის კორიდორში, საიდანაც შესავალია ალმასკომში და გვერდით კი ფოსტაა. ალმასკომში მუდმივი დავიდარაბა, ფოსტაში ტელეფონზე ლაპარაკი და ხმაურობა ვერაფერ სახეიორო პირობებს შეჰქმნის მკითხველისათვის. ეს ადგილი სამკითხველოს შენობისათვის არ გამოდგება და სხვა ღონისძიება არის საჭირო.

ორიოდე სიტყვა სახალხო სახლის შესახებ.

ასკანა მდიდარია სასცენო ხელოვნების მუშაკებით. დიდი ხანია იმართებოდა წარმოდგენები და სცენის მოყვარეთა ჯგუფი იძენდა ტანსაცმელებს და სცენისათვის აუცილებელ ინვენტარს. 1921 წ. დაარსდა კულტ. განმ. საზოგადოება. ის ხელმძღვანელობდა წარმოდგენების დადგმას, მართავდა ლექციებს. მუშაობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო; 1921 წლის სეზონში მან შეიძინა მოძრავი დეკორაციები, ამ დეკორაციების დასახატავათ სპეციალურათ მოიწვია საზოგადოებამ ცნობილი მხატვრები მოსე და ირაკლი თოიძეები, წელს, მიუხედავათ იმისა, რომ საზოგადოებას მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები გადაეღობა, მაინც შესძლო შეეძინა ახალი ფარდა. ამ საზოგადოების განკარგულებაშია დღეს ტანსაცმელები, რომლითაც ხშირად სარგებლობენ ოზურგეთის, ჩოხატაურის, ბახვის და სხვა სოფლების სცენის მოყვარეები. მასვე აქვს ბევრი ხელთნაწერი პიესები და სხვა.

წელს ვიღაც ნაძირალებმა ქურდულად დასჭრეს დეკორაცია რამოდენიმე ადგილას. ვის მოუტანა სარგებლობა ამ ბოროტმოქმედებამ? —არავის.

ბოროტმომქმედნი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

ბინძური ხელები ბოროტად და სულელურად მოქმედებენ—პასუხის გაცემა საჭიროა...

ზოგიერთი სცენის მოყვარენი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით, ამ ბოლო დროს გულგრილობას იჩენენ, ეს იმას ჰგავს ფურმა რომ, „იწველა იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და სულ დაღვარა“.

სახალხო სახლის უქონლობა დიდ ზიანს აყენებს ბ/დ სასწავლებლის შენობას, სადაც ზაფხულობით წარმოდგენები იმართება, იმტვრევა მინები, ფუჭდება სასკოლო სკამები და სხვა.

ასკანაში სახალხო სახლის აგება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ამ მიმართულებით მუშაობის ხელის შეშლა მიუტევებელ ცოდვათ ჩაეთვლება ყველას.

ასკანის ალმასკომს მართებს მეტი შეგნებული და წინ დახედული მოქმედება, სახალხო სახლისათვის გადადებული საზოგადო შენობები თავის დანიშნულებას არ უნდა ასცდნენ და არც სათბობ მასალათ არ უნდა იხმარებოდეს.

ასკანის ინტელიგენცია მოვალეა კერძო და ფუჭფური ინტერესები დროებით განზე გადასდოს და ამით დიდი საქმეს კეთებას ეგ ლი შეუწყოს...

საერთოდ კი პროვინციას სათანადო ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ. უნდა გამოვტყდეთ და ვსთქვათ ბოლოს და ბოლოს, რომ ზოგიერთი პროვინციელი ამხანაგები თავიანთი „გაბედული“ ნაბიჯებით საბჭოთა წყობილებას დათვურ სამსახურს უწევენ.

ფეხმარდი.

## ცოტა რამ „საყოველთაო სამხედრო სწავლების“ შესახებ ჩვენში.

ამ დაწესებულების ძველი აზრია—მთისპოს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, მაგრამ ვინაიდან ის ბედნიერი ხანა ჯერ ოცნებად არის გადაქცეული, როდესად „ძალა ღმერთსა ლარი[illegible] შეხნავს“ ამიტომ ჯარი, მისი ასე თუ ისეთი ორგანიზაცია აუცილებელია. ჩვენ მხრივ საჭირო შევანელოთ ამ მოვლენის სიმკაცრე, შევამსუბუქოთ ამ მოვლენისაგან გამომდინარე ზარალი და ზიანი. მხოლოთ მელ ერს თავისი ჯარი კი არ უნდა სძულდეს, როგორც მისი ველადიდების შემჭმელ-შემსმელი, არამედ უნდა უყვარდეს, როგორც ერთგული დარაჯი, გამტკიცებელი და გამომხედი საკაცობრიო ბედნიერებისა. ასე მეორე და დიდათ სიმპატიური აზრიც წითელ ზოლად გასდევს „საყოველთაო სამხედრო სწავლების“ დაწესებულებებს. ნაპოვნის მიზეზი და მასთან მთავარი მიზეზი ყოველი ერის აზნაურების წარმომავობა, —ე. წ. მილიტარიზმი; გამონახულია წამალი,—სამხედრო საყოველთაო სწავლება,—რომელიც თითქმის არარად აქცევს ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ ტკივილებს, რაიც თან სდევდა აუცილებლად ამ ახალი იდეის დაბადებამდე სამხედრო ბეგარას.

საქართველოს, როგორც პატარა ერს, მაგრამ გეოგრაფიულ და პოლიტიკური მდგომარეობის გამო მუდამ მეომარს, სავსებით ესაჭიროებიან სიკეთენი ამ ახალი, უცხო ჟილისა, გვმართებს დიდი თანაგრძნობა საყოველთაო სამხედრო სწავლებისადმი. ყველგან და ყოველთვის ჩვენს თანამემამულეთ უნდა მიუთითოს მის კარგს მხარეებზე და საქართველოსთვის კარგი მოსპონე ცოცხალი გაზეთი უნდა გახდეს სოფლად და ქალაქად ამ აზრის მომფენი.

ჰყავს ამ ახალ აზრს თავისი მზრუნველი და გულის შემატკივარი ჩვენში, მაგრამ ესენი არ კმარა მარტო. ცხოველ მყოფელ აზრს, სასიცოცხლო და სასარგებლო დაწესებულებას უნდა ჩაეკიდნოთ ყველანი, ეს იქნება—მთელი საქართველო უნდა იყოს მალე ამ სასიკეთო დაწესებულების განყოფილებებით მოფენილი და საქართველოს მთელმა ახალგაზრდობამ საყოველთაო სამხედრო სწავლების რიგებში უნდა მოიხადოს სამშობლოს წინაშე ჯარის სამსახური და არა ძველებურ გულშემზარავ ყაზარმებში.

რომ საყოველთაო სამხედრო სწავლების აზრი ცხოველ-მყოფელია და რომ მოღვაწეთა სიცოცხე არც ისე მომა-

კვდინებულია საქმისთვის—(ბევრი რაღა უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი) დაგვიმტკიცა კვირა დღეს, ა. წ. 8 ოქტომბერს.

მშვენიერი შემოდგომის ნათელი დღე დაიჭირა, საყოველთაო სამხედრო სწავლების ერთეულების სწავლა იყო დანიშნული დიდუბის მინდორზე, მონაწილეობა მიიღო სწავლაში 600-მდე კაცმა, რომელთაც თავი მოეყარათ ქ. ტფილისიდან და მის მახლობელ სოფლებიდან. მონაწილენი ამ დაწესებულების სამი სკოლის მოსწავლენი იყვნენ, ეს სკოლები არსებობენ ტფილისში; ყოველი სკოლა წარმოდგენილი იყო თითო ასეულით, რომელთაც ერთად შეადგინეს ერთი ათასეული. მეცადინეობა გაგრძელდა 12 საათიდან 4 საათამდე. ვარჯიშობაში მონაწილენი მეტად მხიარულად და ენერგიულად გამოიყურებოდნენ. მოხდენით მოძრაობდნენ და ასრულებდნენ ყოველგვარ სავარჯიშოს; საოცარი შეგნება და ყურადღება სუფევდა ვარჯიშობის დროს. ისმოდა ძახილები, იყო მისი სწორე შესრულება; არსად ყვირილი, არსად მუჯლუგუნი, არსად გინება და მუქარები, რაიც ჩვეულ ატრიბუტს შეადგენს ყაზარმულ წვრთნისას.

მაყურებელი ხალხი სიხარულით შეჰყურებდა მოვარჯიშეთ და მხიარული ჟივილ-ხივილით ასაჩუქრებდა ახალი საქმის ახალ პიონერებს.

ერთი რამ აუცილებლად საჭიროა ითქვას ამ საქმის, როგორც ბევრ სხვა საქმეების შესახებ ჩვენში: მეტად გვიყვარს ჩვენი დედა ქალაქი და ძალიან გვემეტება საყოველთაო მისთვის, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ვაი თუ კარგი დედა ჯარგ შვილებად დავრჩეთ; შვილები კი სოფლად არიან, იქითკენ აქვს ხშირად პირი, იქ სოფლების შუაგულ ადგილას, შესაფერ დროს მოვაწყოთ ხოლმე სწავლებაც თამაშიც და მიტინგებიც.

მეცადინეობის გათავების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელსაც მოსწავლეთა და უფროსთა შემადგენლობის გარდა, დაესწრო აურაცხელი მაყურებელნი, შესაფერი სიტყვით მიმართა მაზრის სამხედრო კომისარმა ამხ. კობიძემ დამსწრეთ, რომელშიაც მკაფიოდ განსაზღვრა საყოველთაო ბეგარა და საყოველთაო სამხედრო სწავლა; ახსნა ბევრი ცუდი მხარე ძველად მიღებულ ბეგარისა და ცხადად დახატა ის უპირატესობანი და კარგი მხარეები, რაიც უეჭველად აქვს და ექნება ამ ახალ ორგანიზაციას. ორატორი მოსწავლეთ და დამსწრე საზოგადობამ ვაშის ძახილით და ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ლ. ცაგარელი.

## საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირი

როგორც მოსალოდნელი იყო, ორ ოქტომბერს შესდგა ზემოხსენებული კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გაირჩა სხვა და სხვა საორგანიზაციო კითხვები, რის შემდეგაც მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები. არჩეულ იქნენ შემდეგნი პირნი: თავმჯდომარედ—ჩხეიძე სილოვანი, მის ამხანაგად—ჯაჯგ. ბეტროვი პავ., პასუხის მგებელ მდივნად—ჩლაიძე ვარლამ, მოლარედ—სტეფანიანცი ალექსანდრე და პაპაშვილი დავით—მომარაგების გამგე. ამ მოკლე ხნის განმავლობაში გამგეობას უკვე ჰქონდა სამი სხდომა და შეუდგა საქმიანობას, წიგნთა ბეჭდვა მოსპო სახურეთა და შეუდგა საწევრო გადასახადების შეგროვებას, აგენტების საშუალებით. ახლა უკვე გამგეობაზეა დამოკიდებული კავშირის აღორძინების საქმე. დაახლოვებით, ორი ათასმა კაცმა ჩააბარა თავიანთი თავი ზემოხსენებულ გამგეობას და კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელებმა იზრუნონ ხელოსნების ცხოვრების მძიმე პირობების შესამსუბუქებლად. გამგეობას და კომიტეტს უკვე ეტყობათ საქმიანობა. გამგეობაში ყველა მუშები მოექცნენ, და აი ამ მუშებმა უნდა დაუმტკიცონ ყველას, რომ მათაც შეუძლიათ საქმის გაკეთება.

რასაკვირველია, მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ კავშირს, თორემ მარტო გამგეობა ვერაფერს გახდება. უპირველესად ყოვლისა ხსენებული კავშირი მთავრობამ უნდა აღჭურვოს ყველა იმ უფლებებით, რომელ უფლებებითაც სარგებლობენ სხვა პროფესიონალური კავშირები. ხსენებული კავშირი ორნაირი დასაყრდენი იქნება მთავრობისათვის: პირველი, როგორც დარაზმული ფიზიკური ძალა, რომელიც ყოველ საჭიროების დროს იარაღით ხელში გამოვა საბჭოთა წყობილების დასაცავად, და მეორე, როგორც ერთი ძლიერი ეკონომიური ორგანიზაცია, რომელიც ასე საჭიროა ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების შემდეგ. მთავრობა კავშირს უნდა დაეხმაროს, როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ფინანსიურადაც. ჩვენის აზრით, კავშირის მორიგ საქმეთ უნდა ჩაითვალოს შემდეგი პროგრამა: კავშირმა უნდა გახსნას იაფ ფასიანი სასადილოები, რათა ხელმოკლე ხელოსნებს საშუალება ექნეთ იაფი და სუფთა საჭმელით ისაზრდოონ.

მეორე, კავშირმა უნდა მიაწოდოს აგრეთვე წევრებს იაფი და კარგი ხარისხის პური, რომელიც უმთავრესია ადამიანის არსებობისათვის. მესამე, კავშირს აუცილებლად უნდა ექნეს თავისი საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, საიდაც ნათლად იქნება აღიარებული კავშირის ყოველივე მოქმედება. ამიტომ იქონია რა მსჯელობა აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სხდომამ გაზეთის შესახებ, დაადგინა: მიენდოს ვარლამ ჩლაიძეს ინფორმაციის საქმე, და რაც შეიძლება ფართოდ გააშუქოს ადგილობრივ პრესაში კავშირის საქმიანობა. გარდა ამისა, მიენდოს იმავ ჩლაიძეს შეადგინოს ნუსხა გაზეთის გამოცემის შესახებ და წარმოუდგინოს კომიტეტის მორიგ სხდომას დასამტკიცებლად. ცხარე კამათი გამოიწვია ფარდაგების საკითხმა, რადგან კავშირში ყოველ დღე მიდიან აჯანყებული ხელოსნები თვალცრემლიანი და თხოულობენ დახმარებას ამის გამო, ქალაქის აგენტები თითქმის ასობით ბეჭდავენ ყოველ დღე სხვა და სხვა მოხელეების დუქნებს. თურმე ტფილისის ქალაქის საბჭო ასეთ არ დასაშვებ მოვლენას უყურადღებოთ სტოვებს და შექმნილ აუტანელ მდგომარეობის გამო, მუშა ხელოსანი, რომელსაც უბეჭდავენ დუქანს, სასოწარკვეთილებაში ვარდება. იბადება აქ კითხვა: რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში მუშა ხელოსანმა?! რასაკვირველია, ჩვენ გადასახადების წინააღმდეგნი არა ვართ. ბავშვებმაც კი იციან, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა გარეშე გადასახადებისა, მაგრამ საწუხაროა, რომელსაც მიხუცს ისე შევძრავენ, როგორც ვაჭარს. თუ ვაჭარი იხდის მაგ. კვად. არშინზე 20.000 მან. ხელოსანს 5.000 მან. ან ცოტა მეტი რომ გადაეხდევინოთ, კიდე არა უშავს რა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ხელოსნები იბეგრებიან სხვა და სხვა გადასახადებით, იქ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს აუცილებლად ზემოხსენებული კავშირის წარმომადგენელი. როგორ შეიძლება ერთგვარი შაბლონით ხელმძღვანელობა ვაჭრებზე და ხელოსნებზე! ვისაც მეტის გადახდა შეუძლია, მეტი უნდა გადახდეს, ვისაც არა ნაკლები, ხოლო ვისაც არ შეუძლია, იგი სავსებით უნდა განთავისუფლებული იქნეს. აი სამართალი და პრინციპი რევოლუციონური ძირითადი კანონებისა. ცხარე კამათი გამოიწვია, აგრეთვე კლუბის საკითხმა. ეს არ დაუდგომია ხელოსანთა კლუბი, რომელიც, ჯერ კიდევ, ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროს დაარსდა დიდის ვაი ვაგლახით. საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ კლუბი ჩამორთმეულ იქნა სამხედრო პოლიტიკურ განყოფ. მე-11 არმ. ნაწილის მიერ და დღემდე ტფილისის ხელოსნები ქუჩაში არიან გამორეკილნი. როგორც გამოირკვა, მოქ. ბადრევს და მის გამგეობას, დიდის ლვაწლის შემდეგ მიუღწევია იქამდე, რომ მიუღია რეზოლუციები ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტიდან, ტფილისის ქალაქის საბჭოდან და ცეკადანაც კლუბის დაბრუნების შესახებ, მაგრამ როდესაც ბადრევს მოუნდომებია ხსენებული რეზოლუციის სისრულეში მოყვანა, მოქ. ბადრევს კინაღამ დაპატიმრებით ციხეში ჩაჯენით. პატივცემული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთი მოვლენა არ შეიძლება უყურადღებოთ იქნეს დატოვებული და მე, როგორც კერძო მოქალაქეს და არა წარმომადგენელს ორი ათასი ტფილისში მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნების მუშა-ხელოსნებისა, მეინტერესება ვიცოდე, როგორ ხდება ეს!

მე მგონი რომ ასეთ კითხვას ნიშანს დაისვავს აგრეთვე ყველა განურჩევლად პარტიულობისა.

ფოტოგრაფების დელეგატი და პრეზიდიუმის მდივანი ვარლამ ჩლაიძე.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 56.

საქართველოს საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**სოციალური დაზღვევის საბჭოს დარსების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სოციალური დაზღვევის საქმის სწორედ და სავსებით განსახორციელებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატთან მყოფ საქართველოს რწმუნებულის სამმართველოსთან რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის საბჭო.

2. სოციალური დაზღვევის საბჭო შესდგება საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სამის წარმომადგენლისაგან, უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის თითო წარმომადგენლისაგან, შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ან მის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით.

3. სოციალური დაზღვევის საბჭო პრაქტიკულ მუშაობაში, ხელმძღვანელობს რა ამიერ-კავკასიის დაზღვევის საბჭოს დადგენილებით და განკარგულებით, ხოლო ამასთანავე წარმოადგენს რა რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს საქართველოში დაქირავებული შრომის მომუშავე პირთა ყოველგვარ სოციალურ უზრუნველყოფის მოწყობისა და ხელმძღვანელობისათვის, იგი:

ა) აწესებს წარმოებათა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანოთა მუშაობის მავნებლობისა და საშიშროების ხარისხებს და ახდევინებს მათ სათანადო გადასახადებს.

ბ) სცვლის, არსებულ კანონმდებლობათა ფარგლებში, დამზღვევი გადასახადის რაოდენობას, საზღვრავს მის შეტანის ვადას და ახდევინებს გადასახადებს.

გ) აჯარიმებს, დაწესებულ კანონთა ფარგლებში, სოციალური დაზღვევისათვის გამოცემულ დადგენილებათა დამრღვევთ. ახდევინებს ამ ჯარიმას და აძლევს დამნაშავეს ადმინისტრატიულ და სასამართლოს პასუხისგებაში.

დ) აარსებს ფონდებს ამა თუ იმ სახით უზრუნველყოფისათვის, ჰქმნის სათადარიგო ფონდს, რომელსაც იგი განაგებს.

ე) მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას დაზღვეულთა საექიმო-სამკურნალო დახმარების გაუმჯობესებისათვის.

ვ) აარსებს სოციალური დაზღვევის თავშესაფარებს, ინვალიდებისათვის სახელოსნოებს და სხვა დაწესებულებებს, აგრეთვე საწარმოო და სამომხმარებლო გაერთიანებულ ორგანიზაციებს ინვალიდებისათვის.

ზ) დამზღვევი კასების საშუალებით ახორციელებს მთელს რესპუბლიკაში ერთნაირ წესს და ვადას დახმარებათა გაცემისათვის,

თ) განსაზღვრავს ინვალიდების უფლებას უზრუნველყოფისათვის და ჰნიშნავს პენსიას და

ი) იხილავს და ამტკიცებს დამზღვევი კასების აღრიცხვებს.

4. სოციალური დაზღვევის საბჭო აარსებს სათადარიგო ფონდს ცალკე დამზღვევი კასების დასახმარებლად და მიმდინარე საორგანიზაციო და სხვა ხარჯებისათვის. აღნიშნული ფონდი შესდგება ადგილობრივი დამზღვევი კასების მიერ რეგულიარულად შესატანი 10 პროცენტიანი ანარიცხისაგან.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ოქტომბრის „12,,

## მოქ. ხაჭაპურიძის წერილის გამო.

მოქ. ხაჭაპურიძე თავის წერილში („ტრიბუნა“ № 3) ტყუილად ცდილობს ბრალდების გავრცელებას საერთოდ ყველა თანამშრომლებზედ. მე ვწერდი „ზოგიერთ ელემენტებზედ“ და არა ყველა თანამშრომლებზედ. ეს ზოგიერთები და მოქ. ხაჭაპურიძე კი ღირსია არა ისეთი „შეურაცყოფის“, არამედ მაგარი ცოცხისაც და რატომ, რისთვის, შემდეგ მოგახსენებთ.

რაც შეეხება წერილის ავტორის სამართალში მიცემას, ეს ძველი წესია: ტრიბუნალში თვით მოქ. ხაჭაპურიძე მისაცემი [illegible] შემდეგ ვნახოთ, რა საბუთებით წარსდგება ის ტრიბუნალში.

garo.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მაზრის კომიტეტი

სახელმწიფო ოპერის თეატრი
სეზონი გაიხსნება დღეს, 15 ოქტომბერს:
აბესალომ და ეთერი.
სამშაბათს, 17 ოქტომბერს
კარმენი.
ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს:
სევილიელი დალაქი.
დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები იყიდება კასაში.
2—2

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„ორიანტი“
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.
საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი
ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო
მზარეულთა ზედამხედველობით.
საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე.
10—3
ფასები დაკლებულია.

განცხადება
ქალაქის აღმასკომის სასტატისტიკო საინფორმაციო განყოფილება
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ორშაბათს, ამ მიმდინარე ოქტომბრის 16-ში დაიწყება გამოკვლევა ყველა ქ. ტფილისში არსებულ დაწესებულებებისა. ამისათვის განყოფილება სთხოვს ყველა განყოფილებათა, რათა აღმოუჩინონ მას ყოველგვარი კანონიერი დახმარება ზემოაღნიშნულ გამოკვლევის შესასრულებლად.
შენიშვნა: გამოკვლევა იქნება შესრულებული აგენტების საშუალებით, რომელთაც ექმნებათ მიცემული სათანადო მანდატები.
დედანს ხელს აწერს აღმასკომის თავმჯდომარე: ლ. დუმბაძე.
სასტატისტიკო საინფორმაციო განყოფილების
გამგის მოადგილე: ჯანდიერი.
2176—3—1
მდივანი: ბასილია.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტუდენტთა საპედაგოგიო-სამეცნიერო წრის წევრთა დადგენილებით თანახმად
სამეცნიერო წრე ცხადდება გაუქმებულად.
ინვენტარი, წიგნთ-საცავი და ფული გადაეცეს პედაგოგიურ ინსტიტუტს; წიგნების წამღებთ წინადადება ეძლევა ორი კვირის განმავლობაში, დღიდან პრესაში გამოცხადებისა, დაუბრუნონ წრეს წიგნები; ბეჭედი წარწერით: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საპედაგოგიო-სამეცნიერო წრე—ქ. ტფილისი“ ითვლება გაუქმებულად.
წრის თავმჯდომარე: ა. შილაკაძე.
330—1—1
მდივანი: ე. გრიგოლავა.

დღეს, ოქტომბრის 15-ს
დიდუბეში იპოდრომზე
გაიმართება
დოღი
(скачка)
დასაწყისი დღის 1 საათზე.
ამ დღისათვის ივლის ტრამვაის ვაგონები, არის ტოტალიზატორი და ბუფეტი.
2—2

ტფილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო
აცხადებს, რომ 17 ამა ოქტომბერს დღითი 12 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
მალაკნის მოედანზე და ნუნუფაროვის ეზოში მდებარე სასწორებზე.
კონდიციის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საიჯარო მაგიდის გამგესთან დარახველიძესთან.
59—6—4



საქართვ. ... საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.